MES 3 21 0000701566

12/07/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 28 ივნისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლეერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
დავითტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
თამარვეხფვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ივანეაბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გოდერძიბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
ეკაეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იურიმღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ერმილემესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავითბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ბორისლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში,
მორისშალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზურაბგვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინაქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი.
ლელა სალაყია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი.

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
შოთა კეჟერაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი:
ნატალია ბარათელი - უნივერსიტეტის რექტორი
ზვიად მურადაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია:
გიორგი ნატროშვილი-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი:
თამარ ჩხეიძე-საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის დეკანი

ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია.
ზაზა სირბილაშვილი- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია
დეკანოზი გიორგი შაინიძე- პრორექტორი
ილია ვარშანიძე- თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი
თეონა ნიკოლაიშვილი- ხარისხის მართვის სპეციალისტი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია:
ლაშა ჩეკურიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა ვტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ია მოსაშვილი
ნინო ქიმერიძე
ირინე ებრალიძე
ნიკოლოზ ფარჯანაძე
ია ნაცვლიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღისწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

ცენტრის დირექტორმა თამარ მახარაშვილმა მიაწოდა ინფორმაცია საბჭოს წევრებს პირველ საკითხთან დაკავშირებით. 2021 წლის 18 ივნისს ცენტრში შემოვიდა უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის წერილი, რომლითაც გვამცნობს, რომ ერთმანეთ ერწყმის შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი და შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი. შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდება საგანმანათლებლო დაწესებულება შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი.

ავტორიზაციის დებულების 84-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით. თუ ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლა ემთხვევა რეორგანიზაციის პერიოდს, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულების სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს.

ამ ჩანაწერის მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 1450-ით. ასევე წარმოდგენილია იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლებასაც ითხოვს დაწესებულება. რაც შეეხება დაწესებულებათა შესახებ ინფორმაციას შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმმა ავტორიზაცია მიიღო 2013 წელს 12 ივლისს მიითო ავტორიზაცია 5 წლის ვადით (უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია), შემდგომ განათლების ხარისხის განვითარების კანონის მიხედვით ავტორიზაციის ვადა გაუხანგრძლივდათ ერთი წლის ვადით, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის №25 გადაწყვეტილებით რეორგანიზაციის გამო ავტორიზაციის ვადა გაუხანგრძლივდათ ერთი წლით და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრათ 1150-ით (შპს ნიუ უნივერსითი). კოვიდ პანდემიის გამო განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც ავტორიზაციის ვადა ეწურებოდათ 2020 წლის განმავლობაში გაუხანგრძლივდათ 2021 წლის 01 ივლისამდე .
შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტმა - 2019 წლის 19 მარტის №14 გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით (შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი) სტუდენტთა მიღების შეზღუდვით 2019 წლის 13 დეკემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე აღნიშნულ დაწესებულებას მოეხსნა შეზღუდვა და საბჭომ დააყენა შუამდგომლობა ცენტრთან მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში. სტუდენტთა რაოდენობა 300
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულებამ დაადასტურა, რომ ორი სუბიექტი, ორი შპს შეერწყა ერთმანეთს და ითხოვენ გონივრულ ვადას ავტორიზაციისთვის.
საბჭოს წევრმა იკითხა თუ იყო სახეზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
დაწესებულების განმარტებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გადმოგზავნილია.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:

შესვენება:15:07
დასასრული:15:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: დაკმაყოფილდეს შპს უმაღლესი სასწავლებლის მილენიუმის შერწყმის საკითხი, ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა მაქსიმალური 1 წელი. კვოტა 1450 სტუდენტი.

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 84-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდა შპს უმაღლესი სასწავლებლის მილენიუმის შერწყმის საკითხი, ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა მაქსიმალური 1 წელი. კვოტა 1450

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ხარისხის ცენტრის წარმომადგენლის ქალბატონი თამარის განმარტებით, საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებს ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციას გადიან სამინისტროს მიერ დადგენილი განსხვავებული წესის შესაბამისად, ეს განსხვავებული წესი ასე ფორმულირდება ''მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11 წლის 11 აგვისტოს 135 ნ ბრძანების შესაბამისად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლური ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებს მხოლოდ საღვთისმეტყველო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს'', მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, ცენტრს ჰქონდა ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია საღვთისმეტყველო დაწესებულებებთან. მათ ერთობლივად გადასწყვიტეს, რომ გაკეთებულიყო შესაბამისი თვითშეფასება, ექსპერტები ჩართულიყვნენ ამ პროცესში , რათა დაწესებულებებს თვითონ დაენახათ საკუთარი თავი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ცენტრის მადლობა გადაუხადა დაწესებულებებს ასეთი ტიპის ურთიერთობისათვის მადლობა გადაუხადა ინსტიტუციას და აღნიშნა,რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეტაპი შედგა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მი მართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ აღნიშნული საქმიანობის შესრულება დიდი პასუხისმგებლობა იყო და გულისყურით მოეკიდნენ საკითხს . ვინაიდან პროცესი არ ექვემდებარებოდა სტანდარტულ პროცედურებს, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ შემუშავებული დასკვნაში ასახული ფაქტები ემყარება მხოლოდ დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ვინაიდან არ გამართულა ვიზიტი და გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან. ექსპერტები დადებითად აფასებენ დაწესებულების მიერ გაწეულ სამუშაოს .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული პროცედურა იყო ძალიან ქმედითი. არის საკითხები, რომლებშიც ექსპერტები ეთანხმებიან და დაწყებულია აღნიშნულზე ზრუნვა, თუმცა არის საკითხები, რომლებსაც ინსტიტუცია არ ეთანხმება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გიორგი ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც ყველანაირად ცდილობს დაწესებულების დახმარებას საკითხების სტანდარტებთან დაახლოვების მიზნით. ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიამ წინა საავტორიზაციო პერიოდში ნაყოფიერად იმუშავა, რათა წარმოედგინა მის მიერ შესრულებული სამუშაო რომელიც გაწია 6-7 წლის განმავლობაში და ის თუ რის გაკეთებასაც შეეცდება მომავალი 7 წლის განმავლობაში. დაწესებულების მიერ სიღრმისეულად იქნა განხილული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში. მიღებული რეკომენდაციების ნაწილი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ინსტიტუციისა და სემინარიისათვის. რეკომენდაციები, რომელიც უკავშირდება სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რესურსების ასახვას, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განვითარებას, ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას, საგანმანათლებლო პროცესის დახვეწის მიზნით შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ეფექტურად გამოყენებას და სხვა ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას. დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება დაეხმარება ინსტიტუციას, რათა მოახდინოს ავტორიზაციის სტანდარტებთან მეტად დაახლოვება და საქმიანობის გარკვეული ასპექტების გაუმჯობესება. თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით უკვე მუშაობს და უმოკლეს ვადებში შეძლებს შედეგების წარმოჩენას. არის ნაწილი რეკომენდაციებისა, რომელიც გაუგებარი დარჩა და შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს .მათ განმარტეს, რომ სასურველი იქნებოდა რიგი რეკომენდაციები ამოღებული ყოფილიყო ან მომხდარიყო მათი რჩევაში გადასვლა. ასევე ისურვეს შეფასების ნაწილის შეცვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა შეკითხვების დასმის სურვილი ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას ან ექსპერტებს.

ცენტრის დირექტორმა თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის ცენტრის მხრიდან გაგრძელდება მსგავსი სამუშაოები, დაწესებულაბასა და ექსპერტებს მიეცემათ შესაძლებლობა გასაუმჯობესებელ მხარეებზე განაგძრონ მუშაობა.

შესვენება:15:27

დასასრული-15:33

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 760

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიას მიენიჭოს 6 წლის ვადით ავტორიზაცია და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 760-ით

მესამე საკითხი: ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მი მართებით.

ექსპერტის განმარტებით, სამივე ექსპერტს აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება, მაგრამ ესპ როცესი იყო განსაკუთრებით დაწესებულებას რიგი საკითხები აქვს საკმაოდ მოწესრიგებული და პრაქტიკულად რეკომენდაციები და რჩევები ძალიან მცირეა .ერთი ეხება პროგრამულ ნაწილშს, მეორე, შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილს, ასევე არის პერსონალთან დაკავშირებული საკითხი და სტუდენტთა მხარდაჭერასთან. მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ყველა რჩევა თუ რეკომენდაცია ეხება დამატებებს და არა რაღაცის შეცვლას ან უქონლობას აღნიშნული საკითხების დამატება საჭიროა მხოლოდ დახვეწისათვის. მთელს მსოფლიოში ექსპერტის განმარტებით, ამ ტიპის დაწესებულებები თითზე ჩამოსათვლელია. აღსანიშნავია კურსდამთავრებულთა დასაქმება და სამეცნიერო თვალსაზრისი, რომელიც ინსტიტუციას სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვნად წარმოაჩენს. დაწესებულებას აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტებმა ისურვეს ყოფილიყო სადოქტორო პროგრამის საფეხური, რადგან ქართულ საგალობელსა და ქართულ ხალხურ სიმღერაში არის უსაზღვრო თემატიკა, მითუმეტეს როდესაც არის ძალიან კარგი კვლევები ჩატარებული სამაგისტრო დონეზე. ექსპერტმა კოლეგების სახელით მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ არ შეიძლება ავტორიზაციის გარეშე დარჩენილიყო აღნიშნული დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით, საღვთისმეტყველო განათლება წინ მიიწევს, რაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დიდი დამსახურებაა. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, აღნიშნა, რომ წინა საავტორიზაციო პერიოდში დაწესებულებამ დიდი სამუშაო გასწია.
საეკლესიო მუსიკის დეკანმა თამარ ჩხეიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფსებისთვის. მისი თქმით დასკვნაში არის მხოლოდ, ორი რეკომენდაცია რომელსაც დაწესებულება არ იზიარებს, ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხება საბაკალავრო კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომლის მიხედვითაც მოითხოვება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი, მაგრამ იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პირის პროგრამაზე დაშვება, მისაღები მოთხოვნებით წინაპირობით განსაზღვრული არის შემოქმედებითი ტური, რითიც დასტურდება პირის კომპეტენცია რომ ის შეძლებს ამ პროგრამაზე მუშაობის გაგრძელებას. რეკომენდაციაში აღნიშნულია ,რომ აუცილებელია მოთხოვნილ იქნეს დაწყებითი სამუსიკო სკოლის ატესტატი, ამ მოთხოვნას ინსტიტუცია ვერ იზიარებს, რადგან ეს სამუსიკო განათლება არ არის სავალდებულო. რომც მოხდეს ატესტატის წარმოდგენა, ვერ იქნება უზრუნველმყოფელი, რომ ეს აბიტურიენტი ამ ცოდნას ფლობს , ცოდნის დადასტურების მექანიზმები იმისთვის, რომ შესაბამისი მომზადების პირის ჩართვა მოხდეს პროგრამაში ინსტიტუციას გააჩნია. ჩატარდა შემოქმედებითი ტური და რამდენიმე აბიტურიენტი ამ ბარიერის ვერ გადალახვის გამო დარჩება გარეთ. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც შეეხება მუსიკის თეორიას, აღნიშნულია რომ თუ კი მისაღებ გამოცდაზე ბარდება და შემოქმედების ტურის ერთ-ერთი კომპონენტია, რატომ არის ჩართული ეს დისციპლინა თავად პროგრამაში? ეს გახლავთ ფართო სფერო, საკითხის შესწავლას აქვს სხვადასხვა სიღრმეები, მისაღებ გამოცდაზე არის მოთხოვნა მუსიკის თეორიის ელემენტების ცოდნაზე მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აქ არის მუსიკის თეორიის სხვადასხვა მიმართულებები: ჰარმონიის ისტორია და თეორია, ქართული ხალხური სიმღერების თეორიული საკითხები და დაწესებულების მოსაზრებით ეს არის გამართლებული, მართალია მესამე საკითხი რჩევას ეხება მაგრამ, ტერმინი მუსიკათმცოდნეობა არ არის სწორი ფორმა, მაგრამ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 47 პრიმა მუხლის 5, ამ მუხლით განსაზღვრულია პროგრამების დასახელება. დაწესებულება კანონის ფარგლებს ვერ გასცდა, შესაბამისად როცა განათლების შესახებ კანონში შევა ცვლილება, იქნება შესწორება გაკეთებული. ასევე ერთ-ერთი პუნქტს ჰქვია მუსიკათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან გამომდინარე დასახელების შეცვლის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს თუმცა მათი განმარტებითაც, არ არის სწორი ფორმა მუსიკათმცოდნეობა .რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საბაკალავრო და სამაგისტრო

დონეებზე დაემატოს არასავალდებულო კურსი, დაწესებულება ინტენსიურად მუშაობს კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს განახლებული კლასიფიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით ,ეს განახლება შეეხება სასწავლო კურსების გადახალისებას. ყურადღება გამახვილებულია არჩევითი საგნების მოცულობის ზრდაზე მისაღები რეკომენდაცია, და დაწესებულების მიერ იქნება გათვალისწინებული.
სამაგისტრო პროგრამების დაშვების წინაპირობებში მოცემულია შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური, აღნიშნული აქვს ექსპერტთა ჯგუფს, გრძელდება ჩანაწერი, რომ სასურველია კონკრეტულად იყოს გაწერილი თუ რაში მდგომარეობს ეს ტური. დაწესებულებას დეტალიზებულად აქვს არამხოლოდ ტურის კომპონენტები, არამედ შესაბამისი ნიმუშებიც საკუთარ ვებ გვერდზე.
ექსპერტის განმარტებით, ვერ იქნა ნაპოვნი მისაღები მოთხოვნები ვებ გვერდზე. რაც შეეხება მუსიკის თეორიას, რეკომენდაციები გაიცა უფრო მეტი კონკრეტიკისკენ. სასურველია მისაღებ გამოცდაზე გაკეთებული იქნას მუსიკალური ანბანი, ასევე სასურველია რომ სტუდენტმა იცოდეს ნოტის წერა, ვიოლინოს გასაღების წერა და მსგავსი. აღნიშნულ თეორიაში ექსპერტის თქმით იგულისხმება ჰარმონიაც და მთელი რიგი კურსებიც.
დაწესებულების განმარტებით, მისაღები მოთხოვნები ვებ გვერდზეა განთავსებული და მუსიკის თეორიაში არათუ კონკრეტული საკითხების ცოდნა ევალება, არამედ არსებობს კონკრეტული ნიმუშები საგამოცდო ტესტებისა, რომელთა დაძლევაც აბიტურიენტს ევალება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს კითხვის დასმასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრის განმარტებით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ასეთ პროგრამას ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი. ხომ არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, ამ ორ ინსტიტუციას შორის დადებულიყო თანამშრომლობის მემორანდუმი ამ ხაზის გაძლიერების მიზნით.

შესვენება:15:43
დასასრული: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 760

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელს მიენიჭოს 6 წლის ვადით ავტორიზაცია და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 230-ით

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ბა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ისთვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოადგენს დასკვნას გელათის სასულიერო აკადემიის სასწავლებელთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას , თვითშეფასების დოკუმენტი იყო ძალიან თანმიმდევრული და ის ახდენდა იმ დანაკლისის კომპენსირებას, რომელიც გამოიწვია იმან. რომ არ განხორციელებულა ვიზიტი. დაწესებულების დოკუმენტაციის წარმოდგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ იგრძნობა ხარისხის კულტურა და ის მექანიმზმები რაც პროგრამის მართვისთვისაა აუცილებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით. თვითანგარიში საკმაოდ საინტერესოდ და კრიტიკულად შეაფასა. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ის მექანიკური და ტექნიკური ხარვეზები, რომელიც ინსტიტიუციის მხრიდან იქნა დაშვებული შეიძლებოდა არ ყოფილიყო. აკლდა სასწავლო საბჭოს ერთ-ერთი ოქმი დაწესებულების განმარტებით. იყო შენიშვნები საიტთან მიმართებაშიც, რომელიც გამოსწორებადია. რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება და გატარება უნივერსიტეტის საქმიანობაში პრობლემას არ წარმოადგენს .დიდი მადლიერება გამოხატეს და აღნიშნეს ,რომ ანგარიშის საფუძველზე ბევრი რამის გათვალისწინება შეიძლება. სასწავლებელი არის განვითარებაზე ორიენტირებული და მიესალმებიან კრიტიკულ დამოკიდებულებასაც.

შესვენება:15:57
დასრულდა 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა - (ა)აიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 300

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, (ა)აიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიას მიენიჭოს 6 წლის ვადით ავტორიზაცია, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 300-ით

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ავტორიზაციის საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ ისინი დაეყრდნენ მხოლოდ დოკუმენტაციასა და თვითშეფასების ანგარიშს და მის მიხედვით იქნა დასკვნა ჩამოყალიბებული. რეკომენდაციებიდან ბევრი მოიხსნებოდა და გადავიდოდა რჩევებში რომ ყოფილიყო დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის ან ინტერვიუს საშუალება. აღნიშნა ის განსაკუთრებული მისია და როლი, რომელსაც ინსტიტუცია ასრულებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. დასაწყისშივე აღინიშნა, რომ დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება ორიენტირებულია შემდგომ ზრდასა და განვითარებაზე, რაშიც ექსპერტები დარწმუნდნენ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულებიდან, აკადემიური პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობა, ბიუჯეტი. ასევე აღინიშნა, რომ ინფორმაციული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი იყო არგუმენტაცია, თუმცა ისურვებდნენ უფრო მეტი დოკუმენტაციის ქონას.ექსპერტების მიერ გაღებული სურვილები, არის მხოლოდ დაწესებულების ხელის შესაწყობად მიზნების განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულებამ მადლობა გადაიხადა რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ აღნიშნულს.

შესვენება:16:10
დასრულება: 16:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 150

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი

დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიას მიენიჭოს 6 წლის ვადით ავტორიზაცია, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 150-ით

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტის განმარტებით, ისინი კმაყოფილები იმით, რომ ის დიდი და ხანგრძლივი ტრადიციები, რაც სამონასტრო კულტურას აქვს, ნამდვილად რეალურია და დაწესებულებები ცდილობენ განგრძობითობაში გადაიყვანონ ეს ტრადიცია. დოკუმენტები იყო სრულიად მოწესრიგებული და დეტალურად წარმოდგენილი რაც აძლევდა ექსპერტების იმის საშუალებას რომ შეფასება ყოფილიყო დადებითი. უმჯობესი იქნებოდა ცალკეულ დეტალებში და სტანდარტის კომპეტენციებისთვის დართული ყოფილიყო დამატებითი დოკუმენტაცია. სასწავლებელი შეეცადა აესახა ის სამუშაო რაც რეალურად ქონდა გაწეული. დოკუმენტებიდან ჩანდა ის რომ ინსტიტუციას აქვს შესაძლებლობა აიღოს პასუხისმგებლობა რეგიონსა და ქვეყანაში გარკვეული საგანმანათლებლო კულტურის მნიშვნელოვანია რომ არ დაიკარგოს ის ტრადიციები, რაც სამონასტრო კულტურასა და განათლებას ჰქონდა. ცალკეული დეტალები, რაც ვერ დაინახეს ექსპერტებმა იყო იმით განპირობებული, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება პირდაპირი კომუნიკაციისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით, ისინი დადებითად არიან განწყობილებები ამ პროცესის მიმართ, საინტერესო იყო განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა , გაეცნენ თითოეულ რეკომენდაციასა და რჩევას და აღნიშნეს, რომ დადებითი წვლილი შეიტანეს ექსპერტებმა ორგანიზაციული ფუნქციონირების დახვეწასა და განვითარებაში. დაწესებულება მუშაობს სტუდენტებისთვის, რომლებმაც მეტნაკლებად წვლილი უნდა შეიტანონ სულიერი მემკვიდრეობის საკითხში, რაც საქართველოს ეკლესიას მეტად განავითარებს. ინსტიტუცია ხარისხიან განათლებაზეა ორიენტრირებული, რამაც ადამიანს უნდა მისცეს ადაპტაციისა და თავის დამკვიდრების საშუალება. ისინი საეკლესიო ხელობისა და უნარების დაუფლების მიცემის შესაძლებლობას ცდილობენ, რა მიმართულებითაც აქვთ ძალიან კარგი გამოცდილება. დაწესებულებამ რჩევებსა და რეკომენდაციებში ბევრი დადებითი დაინახეს და მზაობას აცხადებს გაითვალისწინოს დასკვნაში ასახული შეფასებები. მათ შეძლეს ბევრი რამის სხვაგვარად დანახვა, რამაც ხელი მეტად შეუწყო რეგიონის განვითარებას. ისინი შეეცდებიან პასუხისმგებლობის პირნათლად შესრულებას.

შესვენება: 16:11
დასრულდა: 16:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარიისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 150

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განთლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის'' მე-2 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული 77-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარიას მიენიჭოს 6 წლის ვადით ავტორიზაცია, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 150-ით

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:21 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით